სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №69

ქ. რუსთავი 20 ივნისი 2017 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა ფიროსმანაშვილის სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ზურაბ ბენდიანიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (ა(ა)იპ „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი") სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA170006909 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.6 „მხარე" - ,,შემსყიდველი" ან/და „მიმწოდებელი".

1.7 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ რუსთავში მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა. (CPV79900000)

2.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია ხელშეკრულებაზე თანდართულ დანართ №1-ში, ასევე სატენდერო დოკუმენტაციაში ატვირთული „ტექნიკური პირობები"-სა და „მენიუ"-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **177 000.00** (ასსამოცდაჩვიდმეტიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი"-ს დირექტორი, ხოლო „მიმწოდებლის" მხრიდან ა(ა)იპ „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი"-ს წარმომადგენელი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

„მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

„მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

„მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ჩამონათვალი.

6. მომსახურების გაწევის პერიოდი და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის პერიოდი: 2017 წლის 7 ივლისიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე. (2017 წლის 7 ივლისიდან 2017 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით).

6.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. რუსთავი.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული, ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

გ) მომსახურების გაწევა უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციაში ატვირთული „ტექნიკური პირობები“-სა და „მენიუ“-ს შესაბამისად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“ (წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის და მენეჯერის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.1%**-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **1%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“
მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20
საიდენტიფიკაციო კოდი № 416314090
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში: GE24NB0330100200165022

ა(ა)იპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“-ს
დირექტორი

მარინა ფიროსმანაშვილი

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი“
მის: ვაკის რაიონი, ნუცუბიძის მე-4 მიკრო/რაიონი,
კორპუსი 10ა, ბინა 6
საიდენტიფიკაციო კოდი № 405093893
ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა №GE31BG0000000913408900

ა(ა)იპ „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი“-ს
თავმჯდომარე

ზურაბ ბენდიანიშვილი

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირები: *ლუიზა გელაშვილი*

გეგი ლიპარტელიანი

დანართი №1

სატენდერო წინადადების ფასი 177 000 ლარი

№	მომსახურების დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	მოქანდაკეთა სიმპოზიუმის ორგანიზება	98900.00
2	ფურშეტი	1200.00
3	მოქანდაკეთა კვებით უზრუნველყოფა	11900.00
4	მოქანდაკეთა ბინით უზრუნველყოფა	2000.00
5	მოქანდაკეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1800.00
6	ამწეთი მომსახურება	3000.00
7	მასალების ტრანსპორტირება	3500.00
8	2 (ორი) ცალი შედუღების აპარატი	1000.00
9	3 (სამი) ცალი გაზომედუღების აპარატი	1800.00
10	მუსიკალური ბენდი	2700.00
11	მცირე აპარატურა	900.00
	ჯამი:	128700.00

№	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	მიწაში ჩასამაგრებელი სტენდი წარწერით	ცალი	39	25.00	975.00
2	კარავი	ცალი	11	170.00	1870.00

3	ელ. სადენი	მეტრი	200	2.00	400.00
4	ბანერი	ცალი	11	60.00	660.00
5	ბანერი	ცალი	1	118.00	118.00
6	წყლის დისპენსერი	ცალი	2	150.00	300.00
7	წყალი	ცალი	50	10.00	500.00
8	მაისური	ცალი	25	10.00	250.00
9	სიმპოზიუმის კატალოგი	ცალი	100	32.00	3200.00
10	მოსაწვევი	ცალი	1000	0.40	400.00
11	სასაზუქრე კომპლექტი	ცალი	21	60.00	1260.00
12	სასაზუქრე კომპლექტი	ცალი	4	60.00	240.00
13	ქანდაკების ქვა	ცალი	8	2908.75	23270.00
14	ქანდაკების ქვა	ცალი	3	1690.00	5070.00
15	ქანდაკების ქვა	ცალი	1	1500.00	1500.00
16	ლითონის ფირფიტა	ცალი	1	20.00	20.00
17	პოლიესტერი	შეფუთვა	3	190.00	570.00
18	MEKP პოლიესტერის კატალიზატორი	ლიტრი	1	10.00	10.00
19	აცეტონი	ლიტრი	3	5.00	15.00
20	კობალტი თხევადი	ცალი	1	15.00	15.00
21	მარმარილოს ქვიშა	შეფუთვა	3	40.00	120.00
22	თხევადი სილიკონი	ლიტრი	20	60.00	1200.00
23	თაბაშირი	შეფუთვა	5	12.00	60.00

24	ფოლადის სფერო	ცალი	1	160.00	160.00
25	ლითონის ფირფიტა	ცალი	1	52.00	52.00
26	ლითონის კვადრატული მილი	მ	6	11.00	66.00
27	არმატურა	მ	240	1.00	240.00
28	ბიმეტალის მავთული	კგ	100	4.00	400.00
29	ბიმეტალის მავთული	კგ	300	4.00	1200.00
30	ლითონის ფირფიტა	ცალი	1	35.00	35.00
31	ლითონის ფირფიტა	კვ.მ	10	90.00	900.00
32	ლითონის ფირფიტა	კვ.მ	8	80.00	640.00
33	ლითონის ფირფიტა	ცალი	1	90.00	90.00
34	მილ კვადრატი	მ	18	4.00	72.00
35	მილ კვადრატი	მ	6	11.00	66.00
36	მილ კვადრატი	ცალი	1	55.00	55.00
37	მასიური მილკვადრატი	მ	36	4.00	144.00
38	ლითონის მილი	ცალი	1	36.00	36.00
39	ელექტროდი	შეფუთვა	3	15.00	45.00
40	ელექტროდი	შეფუთვა	1	21.00	21.00
41	ბალგარკის პირები	ცალი	3	25.00	75.00
42	ბალგარკის პირები	ცალი	3	25.00	75.00
43	სახეები ზუმფარები (40-იანი)	შეკვრა	2	40.00	80.00
44	სახეები ზუმფარები (60-იანი)	შეკვრა	2	60.00	120.00
45	სახეები ზუმფარები (80-იანი)	შეკვრა	2	70.00	140.00

46	ხის ტუმბო (1)	ცალი	11	20.00	220.00
47	ხის ტუმბო (2)	ცალი	11	25.00	275.00
48	ქვის საჭრელი პირები (180 მმ)	ცალი	3	20.00	60.00
49	ქვის საჭრელი პირები (125 მმ)	ცალი	3	15.00	45.00
50	შესადულებელი ჩხირები	შეკვრა	20	40.00	800.00
51	მეტალის საჭრელი დისკო	ცალი	20	3.00	60.00
52	ქვის საჭრელი დისკო	ცალი	3	25.00	75.00
53	ქვის საჭრელი დისკო	ცალი	3	10.00	30.00
ჯამი:					48300.00
სულ ჯამი:					177000.00

დირექტორი: ზურაბ ბენდიანიშვილი
(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)